საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

ბრძანება N 215

ქ. თბილისი

12/07/2019

განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროექტის - ქუთაისი(წყალტუბოს გადასახვევი)- წყალტუბო-ცაგერი-ლენტეხი-ლასდილის საავტომობილო გზის კმ126–კმ157 მონაკვეთის რეაბილიტაციის პროექტით გათვალისწინებული გზის განთვისების ზოლში მოქცეული მიწის ნაკვეთების ფაქტობრივი მდებარეობის დადგენის მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრაქტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებულ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტსა (შემდგომში - დეპარტამენტი) და შპს ,,პროექტმშენკომპანი"-ს შორის 2018 წლის 21 თებერვალს გაფორმებული ე.ტ. №18-18 ხელშეკრულების საფუძველზე, დეპარტამენტში 2019 წლის 27 ივნისის №27-06/01 წერილით (დეპარტამენტში რეგისტრაციის №16348/2) წარმოდგენილი, შპს ,,ალიგატორის"-ს მიერ 2019 წლის 20 ივნისს შედგენილი, განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროექტის - ქუთაისი (წყალტუბოს გადასახვევი)-წყალტუბო-ცაგერი-ლენტეხი-ლასდილის საავტომობილო გზის კმ126–კმ157 მონაკვეთის რეაბილიტაციის პროექტით გათვალისწინებული გზის განთვისების ზოლში მოქცეული მიწის ნაკვეთების ფაქტობრივი მდებარეობის ამსახველი გეგმებისა და საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზების გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 76-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ბ" პუნქტის, „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 1 აგვისტოს №153 ბრძანებით დამტკიცებული ,,სახელმწიფო პროექტის ფარგლებში განხორციელებული საკადასტრო აღწერის შედეგების საჯარო გაცნობისათვის წარდგენის, მათი გადამოწმებისა და შესაბამისი ცვლილებების შეტანის წესის" მე-2 მუხლის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს №43/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დებულების" მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12, ტელ: (+995 32) 2376 286, ფაქსი: (+995 32) 2376 216
ელ-ფოსტა: info@georoad.ge

1. დაწყებულ იქნეს ადმინისტრაციული წარმოება განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროექტის-ქუთაისი (წყალტუბოს გადასახვევი)-წყალტუბო-ცაგერი-ლენტეხი-ლასდილის საავტომობილო გზის კმ126–კმ157 მონაკვეთის რეაბილიტაციის პროექტით გათვალისწინებული გზის განთვისების ზოლში მოქცეული მიწის ნაკვეთების ფაქტობრივი მდებარეობის დადგენის მიზნით;

2. ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება დაევალოს დეპარტამენტის გარემოსა და სოციალურ საკითხთა სამსახურს;

3. ამ ბრძანებისა და ზემოთ აღნიშნული პროექტის ფარგლებში განხორციელებული საკადასტრო აღწერის შედეგების, გზის განთვისების ზოლში მოქცეული მიწის ნაკვეთების ფაქტობრივი მდებარეობის ამსახველი გეგმების საჯარო გაცნობისათვის დეპარტამენტის ოფიციალური ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს დეპარტამენტის ადმინისტრაციულ სამსახურს;

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

ირაკლი ქარსელაძე

დეპარტამენტის თავმჯდომარე.